სახელმწიფოს პრიორიტეტია ბავშვი იზრდებოდეს ბიოლოგიურ ოჯახში. თუ ეს შეუძლებელია გარკვეული მიზეზების გამო, მინდობით აღზრდა ოჯახურ გარემოში ბავშვზე ზრუნვის საუკეთესო ფორმაა. თუ გაქვთ სურვილი/მზაობა გახდეთ მინდობით აღმზრდელი და ოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა შესთავაზოთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვს, უნდა დარეგისტრირდეთ მინდობით აღმზრდელად.

ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველმა პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს - თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეიტანოს განაცხადი სავალდებულო სატრენინგო კურსის გავლისა და მინდობით აღმზრდელად დარეგისტრირების სურვილის თაობაზე.

მინდობით აღზრდის მსურველმა პირმა უნდა გაიაროს სავალდებულო სატრენინგო პროგრამა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა/განმტკიცების მიზნით.

მინდობით აღზრდის მსურველი პირი უნდა დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (მისი სარეიტინგო ქულა უნდა აღემატებოდეს 120 000 -ს).

სოციალური მუშაკის მიერ ხდება მინდობით აღზრდის მსურველი პირის შეფასება.

მინდობით აღმზრდელის მოვალეობები:

- იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად;
- მინდობით აღსაზრდელს შეუქმნას კეთილსაიმედო ოჯახური გარემო;
- ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

მინდობით აღმზრდელს თავისი მოვალეობის შესრულების პროცესში მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკი ზედამხედველობს მინდობით აღმზრდელის მიერ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით და სტანდარტით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

მინდობით აღზრდა სახელმწიფო ზრუნვის ფორმაა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან.

მინდობით აღზრდის მიზანია მზრუნველობა-მოკლებული ბავშვის მოვლა და აღზრდა განხორციელდეს ოჯახურ გარემოში დროებით, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებამდე.

მინდობით აღზრდა ხორციელდება სახელმ-წიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მინდობით აღმზრდელი სახელმწიფოსგან იღებს ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც მიეცემა მინდობით აღსაზრდელის მოვლისა და აღზრდისათვის.

მინდობით აღმზრდელს ბავშვის აღზრდა ეთვლება შრომით სტაჟში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

ბავშვთა ცხელი ხაზი: 111

პუბლიკაცია დამზადებულია ევროკავშირის და World Vision საფრანგეთის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია World Vision საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union
World Vision

www.worldvision.ge

info@worldvision.ge

FB: /WorldVisionInGeorgia

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union
World Vision

მინდობით აღზრდა

ყველა ბავშვი ოჯახში!